



ბრძანება

N1/1-518

01 / მარტი / 2019 წ.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატანებში (შეკვეთილში)
არსებული 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების და საქართველოს მთავრობის 29 ოქტომბრის N1998 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატანებში (შეკვეთილში) არსებული 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №26.01.48.249) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო სანყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 7 000 ლარის ოდენობით.
2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 700 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 500 ლარით.


3.მყიდველი ვალდებულია საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

5. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

6.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) და შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერა/
შტამკვდასმულია
ელექტრონულად 

ზურაბ ნიქვაძე